03/12/2020

საპატრიარქო არჩევნები სერბეთის ეკლესიაში

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი სულ მალე გამმოაცხადებს დეტალებს ახალი პატრიარქის არჩევნებთან დაკავშირებით.

ძირითად პრობლემად ამ შემთხვევაში ისახება პანდემია, რომელიც აბრკოლებს გადაადგილებებს, რადგან, როგორც საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე აღნიშნავს, მღვდელმთავრები მთელი ევროპისა და სხვა კონტინენტების მაშტაბით არიან, რომლებიც აუცულებლად უნდა წარსდგნენ არჩევნებზე.

ცნობილი ხდება, რომ 20 თებერვლამდე უნდა მოხდეს სერბეთის ახალი პატრიარქის არჩევა, როგორც ტახტის მოსაყდრე აღნიშნავს, თუ არსებული ვითარება არ მისცემს ამის უფლებას, მაშინ დაელოდებიან შესაბამის მომენტს, როცა ჩატარდება სერბეთის ეკლესიის გაფართოებული კრება და მოხდება ახალი პატრიარქის არჩევა.

განცხადების დასასრულს მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა, როგორც საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ მორწმუნე მრევლს მოუწოდა დაიცვან ყველა ზომები და ატარონ პირბადე.

— wenews.ge